

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

„აქტიური მოქალაქეები - ძლიერი მუნიციპალიტეტი!“

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მიმართულია ლოკალური ინფრასტრუქტურის (შიდა სასოფლო გზების, გარე განათების, სკვერების და სხვ.) გაუმჯობესება-მოწყობაზე. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანხის გაანგარიშებას ახორციელებს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. შესაძლებელია დამატებით დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სახსრებით.

ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებელი კატეგორიები განსაზღვრულია დადგენილებით და ამ ჩამონათვლიდან გამომდინარე, მაცხოვრებლები საერთო კრებებზე, ხმათა უმრავლესობით თავად წყვეტენ, რისი მოგვარება სურთ სოფელში და როგორ განკარგონ თავიანთ სოფელზე გამოყოფილი თანხა.

საქართველოში მოქმედებს 2012 წლიდან.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დროს მოგებულია როგორც მოსახლეობა, ასევე მუნიციპალიტეტი. როცა სახელმწიფოდან არის ნება, რომ მოქალაქეები ჩართონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მხოლოდ კაბინეტში არ დგებოდეს ბიუჯეტი, ეს დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველია. ამ პროცესში თვითმმართველობა ახდენს იმ ძირითადი პრინციპის განხორციელებას, რაც თვითმმართველობის მთავარი მიზანია.

სოფლის მხარდაჭერი პროგრამის განხორციელების დროს მოგებული რჩება მოსახლეობა, რადგან თავად იღებს გადაწყვეტილებას, რა პრობლემის გადაწყვეტა სურს და როგორ განკარგოს თავისი ფული.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ასამუშავებლად საჭიროა, რომ მოსახლეობამ იცოდეს, თუ რა რაოდენობის თანხაა გამოყოფილი მათი დასახლებისთვის, და, აგრეთვე, იყოს შესაბამისი დასახლებების საერთო კრებების მიერ ან რეგისტრირებულ ამომრჩეველთან გამართული კონსულტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები, თუ მათი საერთო საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელი პრობლემის გადაწყვეტა სურთ ამ თანხით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სოფლის ტიპის დასახლებაში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში საბოლოო გადაწყვეტილებას რეგისტრირებული ამომრჩეველთა რაოდენობიდან გამომდინარე იღებს დასახლების საერთო კრება (500 მაცხოვრებლამდე) ან ეს ხდება ამ ამომრჩეველთან კონსულტირების გზით (500-ზე მეტი მაცხოვრებელი). ამდენად, თანამდებობის პირების ჩართულობას საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენა არ აქვს.

პროგრამის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (2019 წელი-280 მლნ. ლარი).

შესაძლებელია თანადაფინანსება სხვა წყაროებიდან.

თანადაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული პროექტისთვის ფონდიდან გამოყოფილი თანხის 100 პროცენტს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ეტაპებია:

1. **რეგიონალური განვითარებისა ინფრასტრუქტურის მიერ თანხის გაანგარიშება /გამოყოფა** - თანხის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპის დაცვით:

- დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10000 ლარი;
- დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12000 ლარი;
- დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16000 ლარი;
- დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20000 ლარი.

თანადაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული პროექტისთვის ფონდიდან გამოყოფილი თანხის 100 პროცენტს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დასახლებებისთვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშების შემდეგ, ამზადებს შესაბამის ინფორმაციას, რომელშიც აისახება მუნიციპალიტეტებისთვის გამოსაყოფი თანხის რაოდენობა დაუზღავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს და დასამტკიცებლად წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას.

2. **მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობის ინფორმირება და დასახლების საერთო კრებების/კონსულტაციების მომზადება** - შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერი სხვადასხვა გზით (პირადად, განცხადებების გამოკვრით და ა.შ.) უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას პროექტებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თაობაზე.

3. **სოფლის კრების ჩატარება/კონსულტირება** - დასახლების მოსახლეობის (თუ რეგისტრირებული მოსახლეობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს) მინიმუმ 20% იკრიბება გარკვეულ ადგილას (კრების ჩატარებას უზრუნველყოფს მერი) და იწყებს მსჯელობას სოფელში არსებულ პრობლემებზე; თუ მოსახლეობა 500 ამომრჩეველს აჭარბებს, მაშინ პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით.

4. **პრობლემების გამოვლენა** - კრებაზე შეკრებილი მოსახლეობა ასახელებს რამდენიმე პრობლემას, რომლის გადაჭრაც სურთ პირველ ყოვლისა.

**ხმის მიცემა** - მაცხოვრებელი ესწრება კრებას და ხმას აძლევს სასურველ პროექტს. პროექტები შეირჩევა დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ერთნაირი

ხმების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი კენჭისყრით გამოვლენილი საუკეთესო და ერთნაირი შედეგის მქონე საპროექტო წინადადებიდან. დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;

თუ რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;

თუ რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.

**5. პროექტის განხორციელება** - მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს დასახლებების მიხედვით შესაბამის პროექტებს (მათ შორის, სავარაუდო ღირებულების მითითებით); მუნიციპალიტეტის საკრებულო, დასახლებების (გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრისა) მიხედვით ანაწილებს შესაბამისი მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულ თანხას.

(პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების წესი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბერის №654 დადგენილება).

განსახორციელებელი პროექტები შეირჩევა შემდეგი პრინციპით:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა არის კანონიერი პროცესი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (გარდა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების დასახლებების მოსახლეობისა) ახორციელებს განსაზღვრული თანხის გაანგარიშებას. შემდეგ ამ თანხას განკარგავს მოსახლეობა თავად დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

თუ არ შედგა კრება/კონსულტაცია დასახლებაზე გამოყოფილი თანხა მიიმართება რეგ.ფონდში და შესაბამისად ერთ დასახლებისთვის განკუთვნილი თანხა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად.

თანხის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

პროექტების მიმდინარეობისა და შესრულების საერთო კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს სამინისტრო.

პროგრამის მიმდინარეობა/შესრულების შესახებ ანგარიში წარედგინება საქართველოს მთავრობას.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ვადები შემდეგია:

სამუშაო ჯგუფის შექმნა - მოსამზადებელი სამუშაოები - 28/12-08/01

მოსახლეობის ინფორმირება და წინადადებების მიღება - 03/01-15/01

კრებების/კონსულტაციების ჩატარება - 15/01-28/02

პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების წესი გაწერილია - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბერის №654 დადგენილებით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება ძლიერ და ხანგრძლივ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. თუ როგორ და ვისზე, იხელეთ ქვემოთ მითითებულ ლინკზე:

| ვისზე/რა მოქმედებს   | როგორ მოქმედებს   |
|--|---|
| ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუშაობას ხდის საინტერესოს  | სამინისტროს მუშაობას მოსახლეობა უყურებს სანდოდ, რადგან სამინისტრო მუნიციპალიტეტებს გამოუყოფს თანხას და თავის მხრივ მზაობას გამოხატავს იყოს ღია სტრუქტურა.   |
| მუნიციპალიტეტის მერები ,საკრებულოს თავმჯდომარეები და სხვა წარმომადგენლები ეჩვენებენ დემოკრატიულ პრონციპებს | მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა აცნობიერებს ,რომ სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა არის ხალხის ფული და ხალხმა თავად უნდა განკარგოს. მოსახლეობამ გადაწყვიტოს რისი გაკეთება სურს. |
| ააქტიურებს მედიას  | სოფლის მხარდაჭერი პროგრამის პროცესი ააქტიურებს მედიას. მედიის წარმომადგენლები ესწრებიან სხდომებს და აშუქებენ პროცესებს.   |
| ააქტიურებს არასამთავრობო ორგანიზაციებს   | არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთვებიან სოფლის მხარდაჭერი პროგრამის პროექტის განხორციელების პროცესში. ერთვებიან მონიტორინგის პროცესში.   |
| აქტიური მოქალაქეები ყალიბდებიან  | მოქალაქეები ეჩვენებენ როგორ ჩაერთონ დემოკრატიულ პროცესებში და სწავლობენ მათ უფლებებს. ჩართული არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში.   |

ზრდის სამოქალაქო აქტივობას

ადამიანები სწავლობენ დემოკრატიის პრინციპებს. მონაწილეები ხედავენ მათ საზოგადოებაში ინვესტირების ხელშესახებ შედეგებს, რომლებიც ამ ხალხს უფრო აქტიური მონაწილეობისკენ უბიძგებს.